ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4306100

ნომერი: AR1645774

თარიღი : 21.11.2018

გაცემის თარიღი : 14.12.2018

გაცნობის თარიღი : 14.12.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ვალენტინ თოფურიძის , N 31-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 06/026);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ზერეკიძე პ/ნ 01024034887
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის IV კვარტალი, კორპუსი 10, ბინა 7

ორგანიზაცია:

- შპს ფრეშ ფროფერთი კოდი: 405244418

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4170239 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 21 ნოემბერს NAR1645774 განცხადებით მომართა ქეთევან ზერეკიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4170239 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4170239 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა ვალენტინ თოფურიძის, N31-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვარის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, (ნაკვეთი 06/026), შპს ფრეშ ფროფერთის (405244418) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.186), მრავალბინიანი საცხოვებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო 2018 წლის 19 სექტემბრის №4177326 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 20 სექტემბრიდან 2021 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით, განმცხადებელი განმარტავს, რომ სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4170239 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 3513.3 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 3084.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 429.1 კვ.მ-ის ნაცვლად 425.6 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 429.8 კვ.მ-ის ნაცვლად 397.7 კვ.მ. ხოლო საერთო ფართობი 6094.1 კვ.მ-ის ნაცვლად 5629.4 კვ.მ. ასევე, გენ-გეგმაზე შეცდომით არის დატანილი ავტოსადგომების ნუმერაცია. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას. განმცხადებლის მიერ ასევე წარმოდგენილია შესწორებული გეგმები და გენ-გეგმა.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება ფართობების დაზუსტება. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4170239 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 3084.2 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 425.6 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 397.7 კვ.მ. საერთო ფართობი: 5629.4 კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4170239 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით.
3. სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4170239 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გენ-გეგმით.
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4170239 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 14 სექტემბრის №4170239 ბრძანებასთან ერთად.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge